

**ნინო კოჭლოშვილი, ნინო კობიაშვილი**

ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თელავი, საქართველო

[nkochloshvili@gmail.com](mailto:nkochloshvili@gmail.com); [Maia.kobiashvili@tesau.edu.ge](mailto:Maia.kobiashvili@tesau.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.34>**სიყვარულის დავით თურდოსპირელისეული ფილოსოფია**

**საკვანძო სიტყვები:** დავით თურდოსპირელი, მეტაფორაა სიყვარულის მეტაფორა „ზღაპარი“.

დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა თავისთავადი წერის მანერით გამოირჩევა.

სოციალისტური რეალიზმის წიაღში უამრავი მწერლის ცხოვრება და კალამი ემსახურა რეჟიმს. ბოლშევიზმით გაჯერებული თემები უნდა აღეწერათ, შეექოთ და ყოველგვარ პირადზე მაღლა დაეყენებინათ კოლექტივიზაცია, ხუთწლედები, ელექტრიფიკაცია... გასაბჭოების ავანგარდში უნდა ჩაეყენებინათ ნიჭიც, დროც, ენერგიაც და ოჯახური იდილიაც.

ამგვარი ცხოვრების ფონზე ადამიანს არც დრო რჩებოდა პირადი გრძნობებისთვის, არც უფლება ჰქონდა და ასე იზღუდებოდა თავისუფლება, როგორც უფლისგან ბოძებული უმთავრესი ფასეულობა.

სიყვარული ადამიანის თავისუფალი ნების მთავარი გამოხატვაა. ამიტომაც მოჩანს მზიური ნათლით საბჭოთა თემებითა და დითირამებით გაჯერებულ მწერლობაში გრძნობებზე თამამად საუბარი, ინტიმი, სუბიექტივიზმი.

დავით თურდოსპირელი თანადროულობისგან აბსოლუტურად განსხვავებულად, ლაღად და თავისებურად, უხერხულადაც კი გამოიყურება სოციალიზმის გამაღებული შენების ფონზე. თბილი, გულწრფელი და მიუკერძოებელი სამწერლობო ენით თავის სულიერ სამყაროში გვახედებს და სუბიექტური განცდების თანაზიარს გვხდის.

დავით თურდოსპირელის მინიატურა „მგოსნის სიყვარული“ ეძღვნება შემოქმედის მუზას. მინიატურის ლირიკული გმირის გრძნობები და ფიქრები მიემართება „მას“, სიყვარულს, რომელიც ძილსაც უფრთხობს და ნეტარებითაც მიაძინებს პოეტს. მისი „აშიკი“ ზოგჯერ იადონივით აგალობებს და ზოგჯერ „იდუმალი რამ ძალა პირს უყინავდა წარმოსათქმელ სიტყვას“ (თურდოსპირელი, 1914, 7).

დავით თურდოსპირელი, როგორც მგოსანი, ფაქიზად ეტრფის სიყვარულს, მისი ლექსებიდან მოწვეთავს სევდის ცრემლები, ამ სევდის მუსიკას იმეორებენ „იადონნი“, ისინი, ვინც სიყვარულს, ტრფობას მისცემიან და გამოხატვის საშუალებად მგოსნის ლექსები აურჩევიათ.

მხატვრული შედარებებით ავტორი გვაგრძნობინებს თავისი ლექსების ჯადოსნურ ძალას: „მგოსანი აჩრდილსავით უჩუმრად და ეთერსავით უხილავად სდევდა თან და უგალობდა...“ მას, ვისაც ჰქონდა „მითიური ლამაზი თვალები“ (თურდოსპირელი, 1914, 7).

სიყვარული ზეცასთან აახლოებს მგოსანს. ცა ისე შორეული აღარაა, როგორც ამ ღვთიური გრძნობის განცდამდე: „ცა ისე შორს არ მოსჩანდა, როგორც წინეთ“ (თურდოსპირელი, 1914, 7).

მგოსანი სასოებით მიმართავს „სულისდემას“ - „მე მიყვარხარ შენ“, რაზეც ციურმა ნათელმა გასცა პასუხი: „დიაღ, დიაღ, შენ გიყვარს შენი ზღაპარი“ (თურდოსპირელი, 1914, 7).

„ზღაპარი“ მეტაფორაა, რომელიც ნიშნავს სიყვარულს, ოცნებას, შემოქმედებას, რომელშიც სიყვარული მანიფესტირდება.

ასე ამკობს შემოქმედის კალამს სიყვარული და სიყვარულს კალამი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, 2015 წელს გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წერილი სათაურით: „დავით თურდოსპირელის სიყვარულის ამბავი“. წერილი თურდოსპირელის სასიყვარულო ისტორიაზე გვიყვება.

დავით თურდოსპირელისა და ალექსანდრა (სანიკო) კრემენსკაიას სიყვარულის ამბავი შეუღლებით დაგვირგვინდა. ქალისა და მამაკაცის ეს ტრადიციული კავშირები გასაკვირი სულაც არაა, მაგრამ მათ ურთიერთობას ჩვეულებრივს მაინც ვერ ვუწოდებთ, რადგან პირველი ნაბიჯი ქალმა გადადგა და დაუფარავად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაუმხილა გრძნობა საყვარელ და სასურველ მამაკაცს. ამგვარი სილაღე, მოგეხსენებათ, საქართველოს საზოგადოებაში ქმნის არა მხოლოდ ერთგვარ უხერხულობას, არამედ განსჯის, განკითხვის საგნად იქცევა ხოლმე. თავად მამაკაცები უკადრისობენ და კავკასიელი კაცის სიმკაცრით ქალს უწესებენ გარკვეულ საზღვრებს, რომელსაც არ უნდა გადმოსცდეს, თორემ შესაძლოა მის ღირსებასა და კდემ-კრძალულობას საფრთხეც კი დაუდგეს. ამ არაჯანსაღ ტრადიციულ აზროვნებას არ ემონება დავით თურდოსპირელი. თუ კრემენსკაიას ქალბატონს ქართული წარმოშობა არ უბორკავდა გამოხატვის თავისუფლებას, დავითი ხომ კახეთის ერთ სოფელში გამოზრდილი იყო, სადაც ადამიანები ერთი ფიქრით, ერთი გემოვნებით, ერთი ინტერესითა და ტრადიციებით ცხოვრობენ. არა, დავითის უხერხულობა საერთოდ არ უკავშირდება მენტალურ ჩარჩოებს. მისთვის ალექსანდრა მზესთან შესადარი, თვალშეუდგამი ნათელია და შიშობს, ვაი, თუ ვერ შესწვდეს. ამ სილაღეს მიზეზად ისიც ახლდა, რომ დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი) სანიას მასწავლებელი იყო და მოსწავლის მიმართ სხვა სიფაქიზე და სიფრთხილე მართებდა.

ალექსანდრა პოლონელისა და ქართველის შეუღლებით დაბადებული გოგონა იყო. (მამა - ალექსანდრე კრემენსკი, ოფიცერი და საქართველოში დასახლებული, დედა - თელაველი სოფიკო ზაზაშვილი). გოგონა სწავლობდა თელავის ტექნიკურ სასწავლებელში და იყო მოსწავლე დავით თურდოსპირელისა. მან გამოიჩინა „სულისშემძვრელი“ გამბედაობა 1927 წელს, იანვრის თვეში მისწერა მასწავლებელს „უნაზესი და უძლიერესი“ გრძნობის შესახებ. წერილი მდიდარია საუცხოო ეპითეტებით, რომლებიც მიმართულია შეყვარებული გოგონას გრძნობა-სურვილებისა და დავითის ღირსებებისკენ. სანიას გრძნობათა მახასიათებელი ეპითეტებია: „ცეცხლოვანი“, „აფორიაქებული“, „მშფოთვარე“, „უსპეტაკესი“, „ფაქიზი“, „გულუბრყვილო“... გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს ზმნები, რომლებიც ასევე გოგონას სულიერ მდგომარეობათა გამოხატვაა: „გაღმერთებთ“, „სული დამიცარიელდა“, „გული გამებზარა“, „ადგილზე მიმაჯაჭვა“, „სუნთქვა შემიჩერა“, „მომაჯადოვა მისმა მეტყველებამ“, „სახტად დავრჩი, როცა ვიხილე სული ამ ადამიანისა“, „მე ჩემი სული ავალაპარაკე ამ ქალაღზე“.

ასევე უზვგრძნობათა ცეცხლს ატარებს სანიას თვალთა და გულით განცდილი დავითი (დათიკო): „მგოსანი“, „იშვიათი პიროვნება“, „შემთხვევით მოვლინებული ამ ადამიანთა შორის“, „იგი სხვებს არ ჰგავს“, „სული მიუწვდომელ სიმაღლეზე აყვანილი“, „მისი გული ზღვაა, უზარმაზარი, ფაქიზი, უსპეტაკესი“...

წერილს ქალბატონი ალექსანდრა ხელს აწერს „სანია კრემენსკაია“. თვალში საცემია შეყვარებული მოსწავლის პატივისცემითი მიმართვის ფორმები, თქვენობითი ფორმით, ჩანს მოწიწება და, გამბედაობის მიუხედავად, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უხერხულობის ელფერიც დაჰკრავს. ურთიერთობის საწყის ეტაპზე ასეთივე მოწიწება აშკარაა დავით თურდოსპირელის პასუხებშიც: „ვკითხულობ თქვენს უსტარს“; დავითი იქენჯნება, არ ასვენებს დამნაშავეს ფიქრები: „თავი მიმაჩნია უპატიებელ დამნაშავედ“. ვაჟის პასუხში იგრძნობა ბავშვური მოუსვენრობა, აღტაცება და სიხარული: „არ ვიცი, მე ვინაღვლო ჩემი ასეთი კადნიერება თუ ვიხარო, ვინეტარო... შიშით გელოდით“(თურდოსპირელი, 2015, 9). დავითი სანიას წერილმა გაოგნებამდე მიიყვანა, შთაგონებაში ჩააგდო და რიტორიკული ინტონაციით ეკითხება: „განა ამდენ ბედნიერებას ვითხოვდი?“ მწერლის წუხილის მთავარმიზეზი ასაკობრივი მანძილია. 39 წლის დავითს ეუხერხულება ნორჩი, ცხოვრების წყაროს სათავესთან მყოფი, გოგონასი, რომელიც ჯერ მღვრიე მდინარეს არ შერევია, გაბედოს და ხელი გაუწოდოს, ამიტომ რაღაც სასოწარკვეთილი სწერს: „ვაი, რომ მეტად ადრე მომიხდა მე ამქვეყნად მოსვლა, თქვენ კი მეტად გვიან...“(თურდოსპირელი, 2015, 9). წერილს მხოლოდ თარიღი აქვს ქვეშ მიწერილი, „14 ნოემბერი. 27 წ.“ ავტორის ხელმოწერა არ აქვს.

„უღმობელმა დრომ“ არც დავითს ჩამოაკლო და არც სანიას მოამატა წლები, მაგრამ სიყვარულმა არც დრო იცის და არც ასაკი. ისინი შეუღლდნენ და შვილში, სიყვარულის ნაყოფშიც შეკრიბეს თავიანთი უზაკველი გრძნობა.

აქვე გამოქვეყნდა სანია კრემენსკაიას დათიკოსადმი მიწერილი უთარილო წერილი, რომელსაც წინ უძღვის მხოლოდ შექმნის დრო და ადგილი: „ლამის 12 საათი. თელავი“.

ამ წერილში იმხელა სითამამეა, იმდენად მოხსნილია უხერხულობის განცდა, მიმართვის ფორმებში იგრძნობა ერთმანეთთან მიახლოება, ჩანს უკვე მოიხსნა მათ შორის ყოველგვარი ბარიერი, ასაკი, მდგომარეობა და სხვ. „ჩემო დათიკო... მე რომ ვფიქრობ ჩვენს მომავალზე, იგი ისეთ ლამაზ ფერებში, ისეთ მომხიბლავ ფორმებში მესახება, რომ დამატრობელი სილამაზეა, მომხიბლავი ზღაპარია“... წერილს ასე მიაწერა: „შენი სანია კრემენსკაია“(კრემენსკაია, 2015, 9).

დავით თურდოსპირელი ამ წერილის საპასუხო წერილში კნინობითი ფორმით მიმართავს: „სანიკო“. დიდი რუდუნებითა და აღტაცებით ადარებს საკუთარ დედას, გულახდილობას იჩენს, ყოფილ მეუღლეზე წერს: „ყოფილი მეუღლე... ხომ მიყვარდა გაგიჟებით, მიყვარდა ბევრი ღირსებისთვის, მაგრამ ჭკვაში მაინც არ მომდიოდა ჩემი დედიკოსთვის შემედარებინა“(თურდოსპირელი, 2015, 9). საოცარი სევდა და ტკივილი იგრძნობა მწერლის დედისადმი სიყვარულში: „დალუპვის შემდეგ, დედიკო ნამდვილად შარავანდედიანი მეჩვენა... ჩემს წამებულ დედიკოს, სალომეს, ვფიცავ, რომ სანიკო გავს, სანიკო ბევრს რამეში გავს ჩემს დედიკოს“. ავტორი წერილს ხელს აწერს: „შენი დათიკო/სიღნაღი.10-2-28 წ.“(თურდოსპირელი, 2015, 9)

ქართველ მწერალთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში იშვიათად შევხვდებით ამხელა სიბოძს, ასეთ უფაქიზეს სულიერ კავშირს - სატრფო ქალისა და დედის შედარებას.

მოთხრობილი სიყვარულის ისტორია დოკუმენტური მასალაა, წერილების დედნები შვილმა, ლამზირა ჩხეიძემ მიაწოდა გაზეთის რედაქციას და ამგვარად მოეფინა ნათელი რომანულ ჟანრამდე აყვანილ სიყვარულის ამბავს.

სიყვარულის დავით თურდოსპირელისეული ფილოსოფიის თანაზიარს გვხდის მწერლის თარგმანებიც.

ო.ოლესის პიესა „შემოდგომა სიყვარულისა“ დავით თურდოსპირელმა თარგმნა უკრაინულიდან.

ეტიუდის დასაწყისით ვიგებთ, რომ პიესა სიყვარულის თემაზეა. სიუჟეტი წარმოდგენილია პოლილოგიით, რომელშიც ვხვდებით დედაბერს(ძიძას), ვაჟს (ბატონიშვილს), ქალს (სახლის ქალბატონს).

ახალგაზრდა ქალბატონი სტუმრად მივიდა ძიძასთან, რომელიც ტყეში ცხოვრობს. ძლიერი ქარი თხზულებაში აძლიერებს შიშს. მალევე ირკვევა, რომ ქალი გაურბის სატრფო ვაჟს, რომელთან ურთიერთობის უფლებას არ აძლევს თავს, რადგან ვაჟი, სავარაუდოდ, ცოლიანია. პირველი ქორწინება ვაჟისთვისაც ქცეულა „ორმაგი ტანჯვის“ მიზეზად.

ქალს არ შეუძლია შუაში ჩადგეს სხვა წყვილისა, არადა უყვარს, არადა სურს... ამ სურვილსა და თავშეკავებას წარმოუქმნია შიშის ქარი, უფრო ძლიერი, როგორც გარეთ ტყეში დამრწის, უფრო ბნელი და ამოუცნობი, ვიდრე ღამე.

ქალი გარბის, ქალი იმალება, მაგრამ სად გაიქცევა? სად დაემალება ქარს, რომელიც ფეხდაფეხ მოსდევს.

პიესაში საინტერესო დეტალია ვაჟის სურვილი; ქალის შეკითხვას, „რა გსურთ ჩემგან“, ვაჟი პასუხობს: „მხოლოდ გხედავდეთ, მხოლოდ ვისმენდე თქვენს ხმას“(თურდოსპირელი, 1915, 9-11). ქალისთვის გაუგებარია ამგვარი სურვილი, რადგან უფსკრულია წყვილს შორის და ის, სხვა, დგას მათ შორის. ქალს არ შეუძლია მიიღოს „სხვისი“.

ამბავი დრამატულია. ქალის თავშეკავებულ სიყვარულს ახლავს შიში, სევდა, მტანჯველი ემოცია. თითიდან მალულად მოხსნილი ბეჭედი, რომელიც იპოვნა ქალბატონის, სახლისა და ღირსების დამცველმა დედაბერმა, ადასტურებს, რომ ვაჟი „მოპარული სიყვარულის“ მსახურია. დაქორწინებულია, მაგრამ ქალბატონთან სურს სიახლოვე. ქალმა იცის, რომ მისი ადგილი არაა აქ, მის გვერდით, მაგრამ ვერც აღწევს თავს მასთან ყოფნის სურვილს. ეს თავშეკავება ტანჯავს გაუბედავ და თავკერძად აღზრდილ ქალს. ზნეობა და მორალი კარნახობს, რომ სხვის ბედნიერებას არ უნდა შეუზიარდეს.

ვაჟს, რომელიც „აკრძალულ ნაყოფს“ ეპარება, დედაბერი კლავს. ძილ-ღვიძილში მყოფ ქალს მოჩვენება, სიზმარი ჰგონია, მას შიში აღვიძებს, აფხიზლებს და აწყდება წარმოუდგენელ სინამდვილეს: „მას სძინავს... ის ვერასოდეს გაიღვიძებს“. ქალი განწირულებით უყურებს ძიძას. მისი კითხვა - „რას მეუბნები, ძიძავ“, ამოუცნობია, ეს არის ტრაგიკულობის მტანჯველი განცდით ნაკარნახები, თუ მტანჯველი შიშისგან გათავისუფლების ემოცია.

მოქმედება მთავრდება და იზადება გაურკვევლობის განცდა. ამგვარ გრძნობას გაურბის ადამიანი თუ პირიქით, მიილტვის მისკენ.

საინტერესოა, რომ პიესამ თავისი თემითა და იდეით მიიპყრო დავით თურდოსპირელის ყურადღება. ეს კი ადასტურებს მწერლის მრავალმხრივ ნიჭს, უნარს, გემოვნებას და მწერლურ ოსტატობას.

დავით თურდოსპირელის მცირე პროზაული ნაწარმოებებიდან, რომლებშიც მწერალი სიყვარულის ღვთაებრიობაზე გვიყვება, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მინიატურა „სიყვარული“. „სიყვარული იყო ღმერთი“, „პირველად იყო სიყვარული და უკანასკნელადაც იქნება, ის იქნება“, „ჯადოსნური ძალაა“, „სიყვარული, მხოლოდ სიყვარულია, რომელიც ფასკუნჯის ფრთებს გვანიჭებს და მიგვაფრენს ამ საცოდავი დედამიწიდან მარადისობის წალკოტისკენ...“ (თურდოსპირელი, 1915, 8). ამგვარ შეფასებებს ვკითხულობთ მინიატურაში, რომელიც 1915 წელს გამოაქვეყნა მწერალმა სათეატრო სალიტერატურო ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

ვნებას და სიგიჟმაჟეს ეტრფის მწერალი. მისთვის სიყვარულში თავდავიწყება სულაც არ უნდა იყოს ცოდვა. სწორედ სიყვარულია მიზეზი ქალწულის ღამეული მოთენთილობისა, მარტოობის, რომელსაც საკუთარი ტრფიალი, ვაჟის გარეშე გატარებული ღამე აბორგებს, მოსვენებას უკარგავს და ამიტომაცაა მისი ლოგინი „დათენთილ-დასრესილი“, თავად ქალწული კი „მოდუნებულ-მიზნედილი“.

მწერალი განდევნილი ბერის გლოვის მიზეზადაც სიყვარულს ასახელებს. განიკითხავს, რამეთუ მან ეს ნეტარება უარყო, განეშორა, პირველი კოცნა კი აღსარებით მოინანია... ავტორი გაკვირვებას, აღშფოთებას შორისდებულით გამოხატავს: „ვაბ“.

მოუწოდებს ყველას, „უგალობდეთ სიყვარულს, როკვით ვიტყოდეთ მის ქებას...“ (თურდოსპირელი, 1915, 8).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწერლის არქივმა შემოგვინახა ანალოგიურად დასათაურებული მინიატურა, რომელიც შავი ავტოგრაფის სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ხელნაწერი ავტორის მიერ ხელმოწერილი და დათარიღებულია 1916 წლით. ეს მინიატურა თავისი შინაარსითა და იდეური ჩანაფიქრით აბსოლუტურად განსხვავდება 1915 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებული მინიატურისგან „სიყვარული“.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობამ მწერლის შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა თავისებურებასთან ერთად ერთი და იმავე სათაურით რადიკალურად განსხვავებული ნაწარმოებების, არც თუ დიდი დროის დაცილებით, შექმნის თავისებურებაც გამოკვეთა. ასეთი ტიპის ნაწარმოებების არსებობა, როგორც ირკვევა, თურდოსპირელისთვის სათქმელის შენიღბვის ერთ-ერთი გზა იყო.

მწერალი 1916 წლით დათარიღებულ მინიატურაში „სიყვარული“, ერთი შეხედვით, სიყვარულის ფილოსოფიის მამიებელია, ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე მისი მატანისა რომ ვერაფერი გაუგია რა, ამავდროულად მკთხველს თავისუფლების ხიბლით ტკბობისა და მონობის ბორკილების დასამასხვრევად თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებს.

საინტერესოა და თვალშისაცემია სიყვარულის დავით თურდოსპირელისეული ფილოსოფია. მწერლის თანადროული პერიოდის ლიტერატურული ნააზრევი, იშვიათი გამოწკლისის გარდა, მაინც თავშეკავებით ხასიათდება და ერიდება ვნებისა და ტრფიალების თავისუფალ ხოტბასა და სიყვარულის, როგორც თავისთავადობის, აპოთეოზად წარმოსახვას.

დავით თურდოსპირელის გამორჩეულ მანერად უნდა გამოვკვეთოთ მისი პოეტური შესაძლებლობების სიმაღლე განსაკუთრებით მაშინ, როცა ის სიყვარულის თემას ეხება. ვფიქრობთ, სიყვარულის მიმართ მწერლის დამოკიდებულებამ მეტად საინტერესო გახადა მისი პერსონაც და შემოქმედებაც.

### ლიტერატურა:

1. თურდოსპირელი დ.(1914), „მგოსნის სიყვარული“, თეატრი და ცხოვრება, N23, 7;
2. თურდოსპირელი დ.(2015), „დავით თურდოსპირელის სიყვარულის ამბავი“, საქართველოს რესპუბლიკა, N148, 9;
3. კრემენსკაია, ა.(2015), „დავით თურდოსპირელის სიყვარულის ამბავი“, საქართველოს რესპუბლიკა, N148, 9;
4. თურდოსპირელი დ.(1915), „შემოდგომა სიყვარულისა“, თეატრი და ცხოვრება, N14, 9-11;
5. თურდოსპირელი დ.(1915), „სიყვარული“, თეატრი და ცხოვრება, N13, 8;

**Nino Kochloshvili, Nino Kobiashvili**

I. Gogebashvili State University

Telavi, Georgia

[nkochloshvili@gmail.com](mailto:nkochloshvili@gmail.com); [Maiakobiashvili68@gmail.com](mailto:Maiakobiashvili68@gmail.com)

[Maia.kobiashvili@tesau.edu.ge](mailto:Maia.kobiashvili@tesau.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.34>

## David Thurdospirelli's philosophy of love

### Abstract

Davit Turdospireli's literary legacy is distinguished by his writing style.

In the midst of socialist realism, the life and pen of many writers served the regime. Communities saturated with Bolshevism had to describe, praise and put collectivization, five-year plans, electrification... In the vanguard of sovietization talent, time, energy and a family idyll had to be put above all personal.

In the background of this kind of life, a person had no time for personal feelings, nor did he have a right, and thus freedom was limited, as the most important value given by the Lord.

After all, love is the main expression of human free will. That's why Mziuri is seen in the writing saturated with Soviet themes and dithyrambs, boldly talking about feelings, intimacy, subjectivism.

Davit Turdospireli, absolutely different from contemporaneity, looks delightfully and peculiarly, even awkwardly in the background of socialism hidden in buildings. Warm, sincere and unbiased writer with his own spiritual world looks at us and makes us a sharer of subjective feelings.

Davit Turdospireli Fakizad devours love, his poems invite tears of sadness, the music of this sadness is repeated by the "Yadonni", those who give love, greed and choose Magosni's poems as a means of expression.

Love with heaven brings Mgosan closer. For him, heaven is no longer as distant as it was before the feeling of this divine feeling: "Heaven did not appear as far away as before".

Mgosani Sasoebit addresses "Sulisdgmaz" - "I love you", to which Tsiyur Nateli replied: "Diaag, diaag, you love your fairy tale".

"Fairytale" is a metaphor for love, dream, creativity, in which love is manifested. This is how the creator's pen embraces love and love my pen.

Among the small prose works of David Turdospirelli, in which the writer tells us about the divinity of love, the miniature "Love" is of particular interest. "Love was God", "at first there was love and it will be at the last, it will be", "it is a magical power", "love, it is only love that gives us the wings of Faskunji and frees us from this sinful earth to the tsalkot of eternity..." such evaluations We are reading in a miniature, which was published in 1915 by a theater writer In the literary journal "Theatre and Life".

A writer will prey on passion and madness. For him, self-forgetfulness in love does not necessarily have to be a sin. It is love that is the reason for the nocturnal virginity, loneliness, which is blocked by her own trinkets, a night spent without a husband, makes her sleepless, and that is why her bed is "datenthil-dassili", and the virgin's bed is "modunebul-mibnedili".

The writer Gandegili Beris Glovi names love as the reason. We will be questioned, because he rejected this bliss, separated from us, and the first kiss is regrettable... The author between surprise and indignation expresses: "Wah".

Calls everyone, „Ugalobdeat love, Rokvit vitdeat mis kebas...".

It is interesting that the writer's archive preserved a similarly titled miniature, which has come down to us in the form of a black autograph. Manuscript signed by the author and dated 1916. This miniature in its content and ideological thinking is absolutely different from the miniature "Love" published in 1915 in the journal "Theatre and Life".

David Turdospirelli's work on autographs, together with the different peculiarities of the writer's creative work, also highlighted the peculiarity of creating radically different works with the same title, not too much time apart. The existence of such type of works, as it turns out, was one way for Turdospirelli to disguise what he was saying.

In the miniature "Love" dated 1916, the writer is at first sight a searcher of the philosophy of love, from the beginning of the world to the present day of its fulfillment that nothing has heard what, at the same time calls on the reader to enjoy the charm of freedom and selflessly fight to shatter the shackles of slavery.

David Thurdspirelli's philosophy of love is interesting and eye-catching. The literary contemporaneous writer of the contemporary period, with rare exceptions, is still characterized by restraint and avoids such a free preaching of passions and trifles and imagining love as the apotheosis of spontaneity.

As a distinctive manner of David Turdospirelli, we must highlight the height of his poetic abilities precisely when he deals with the theme of love. We think that the writer's attitude towards love made both his persona and his work very interesting.

**Key words:** David Thurdspirelli, literary legacy, Metaphor of love "fairy tale"